ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4800792

ნომერი: AR1718112

თარიღი : 14.11.2019

გაცემის თარიღი : 23.12.2019

გაცნობის თარიღი : 23.12.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანი , N 155;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ უსტიაშვილო პ/ნ 61001007309
- ქ.ბათუმი,ზუბალაშვილის16

ორგანიზაცია:

- შპს "ჯი–თი მოტორს" კოდი: 206276340

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _ თქვენს მიერ წარმოდგენილ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურის“ 28.11.2013 წ. და შპს „მაგთიკომის“ 24.05.2019 წ. წერილებში საუბარია ს.კ.#01.72.14.013.522 მიწის ნაკვეთზე, ხოლო წინამდებარე განაცხადზე საპროექტო მიწის ნაკვეთს წარმოადგენს ს.კ.#01.72.14.013.657 მიწის ნაკვეთი.

ვინაიდან ამჟამად წარმოდგენილი საპროექტო გენგეგმის მიხედვით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის არეალის სიახლოვეს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გადის ხაზოვანი ნაგებობები, საკომუნიკაციო ნაგებობა _ ს.კ.N 01.00.003 (შპს „ახალი ქსელები“), ასევე, თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი, წარმოსადგენია ტერიტორიაზე გამავალი ხაზოვანი ნაგებობების შესაბამისი მესაკუთრეების თანხობები, დამოწმებულ გენგეგმასთან ერთად.

ასევე, ვინაიდან მოღხოვნის ტექსტურ ნაწილში განმარტავთ, რომ იგეგმება გაზის მილების გადატანა, წარმოადგინეთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა და დამოწმებული გენგეგმა გაზის მილების გადატანასთან დაკავშირებით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.